სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL SHOTA MESKHIA ZUGDIDI STATE UNIVERSITY

2100 ზუგდიდი, საქართველო, ბ. ჯანაშიას ქ.14
14 B. Janashia str. 2100 Zugdidi, Georgia
zssuedu@gmail.com
www.zssu.ge
+995 591324242

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 11

03 თებერვალი 2025 წ.

ქ. ზუგდიდი

უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წელს განხორციელებული შიდა აუდიტორული ანგარიშებისა და წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 03 თებერვლის №03 სხდომის ოქმის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წელს განხორციელებული შიდა აუდიტორული ანგარიშები და წლიური ანგარიში წარმოდგენილი სახით (დანართი 1,2).
2. დაევალოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს (ჯ.ბერაძეს), უზრუნველყოს 1-ლი პუნქტით დამტკიცებული ანგარიშების განსაზღვრული ფორმითა და შინაარსით სამინისტროში წარდგენა.
3. დაევალოს ნ.ფიფიას, გადასცეს დადგენილება დაინტერესებულ პირებს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში თბილისი, უზნაძის ქ. №52

თ. ხუფენია

თეონა ხუფენია

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

რეკომენდაციები:

1. აყვანილ იქნეს კონტროლზე უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.
2. მოწვეულ იქნეს კვალიფიციური სპეციალისტი (შემფასებელი აუდიტი) ავტომობილ(NISSAN TERANO სახელმწიფო ნომრით AGA 826, გამოშვებული 2003 წელს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 2009 წლიდან) საბაზრო ღირებულების დასადგენად და ჩამოწერის მიზნით მომზადდეს დოკუმენტაცია შემდგომი მსველობისთვის კანონმდებლობის შესაბამისად
3. საგეგმო მაჩვენებლებთან ფაქტობრივი შესრულების შეუსაბამობის შემთხვევაში განხორციელდეს შესყიდვების წლიურ გეგმაში შესაბამისი ცვლილება, რომელიც სათანადოდ იქნება დასაბუთებული.
4. შესყიდვების სამსახურის მუშაობის გაუმჯობესობის მიზნით მიზანშეწონილია, ისეთ შემთხვევებშიც, როცა **კონკრეტული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ნაკლებია 10 000 ლარზე, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - 20 000 ლარზე,** განხორციელდეს ბაზრის კვლევა და ასევე შესყიდვების განხორციელებისას საჭიროა ბაზრის კვლევის დოკუმენტები აიტვირთოს შესყიდვების სააგენტოს შესაბამის ელექტრონულ ველზე.
5. ბუღალტერმა აიყვანოს კონტროლზე და უზრუნველყოს თანამშრომლებზე ხელფასების დარიცხვის შესაბამისად, იმავე თვეში საშემოსავლო გადასახადის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშებზე კანონის შესაბამისად.
6. შემდგომი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის ყველა რეკომენდაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
7. **აყვანილ იქნეს კონტროლზე** სამსახურის მიერ **პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების** რეგულაციისა და სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.
8. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მარაგების, ამორტიზირებული, ექსპლუატაციისათვის უვარგისი ჩამოსაწერი ქონების დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი სამსაურებისათვის დასკვნებისთვის წარდგენა.
9. იდენტიფიცირებული რისკების გათვალისწინებით, კონტროლის მართვის გაძლიერების მიზნით ადმინისტრაციის მხრიდან დაორგანიზებული მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესის - **მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე გადაყვანა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება -. გათვალიწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ეტაპზე აუდიტი შემოიფარგლოს წარმოდგენილი** რეკომენდაციებით **და მატერიალური რესურსების აღრიცხვის ელექტრონული მართვის პროგრამაზე სრულად გადაყვანის შემდეგ ჩაიგეგმოს რიგგარეშე სრული ინვენტარიზაციის შიდა აუდიტი.**
10. **მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესყიდულ იქნეს განახლებული ელექტრონული აღრიცხვის პროგრამა.**
11. **მიზანშეწონილად მიგვაჩნია პერსონალის აღრიცხვა და ანგარიშგება მართოს იურიდიული საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის კონტროლით ადამიანური რესურსების განყოფილებამ .**